04/02/2021

ვანდალიზმის შედეგად დაზარალებული ტაძარი არაღიარებულ ყარაბაღში

ბაქო-აზერბაიჯანის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის, მთავარეპისკოპოს ალექსანდრეს (რუსეთის საპატრიარქო) ლოცვა-კურთხევით, ქ. განჯის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მღვდელმა ბართლომე სოტნიკოვმა, მოინახულა მთიანი ყარაბაღის ქ. ხოჯავენდის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი.

რუსი სასულიერო პირი გაეცნო იმ ზარალს, რაც ტაძარმა განიცადა არაღიარებული რესპუბლიკის მმართველობისას. ბაქოს ეპარქიის მღვდელმსახურმა მრავალი წლის შემდეგ აღასრულა მართლმადიდებლური ლოცვა.

— nikodimoscentre.ge